ეს, სწორედ ამისთანა ამბებზე მოგვიხდება ქვემოთ ლაპარაკი. არც ჩვენ ვგეალისებთ ეს. მაგრამ, ისევ ილიასი არ იყოს, „რას იზამ“, წინსელა და ცხოვრება გვიკარნახებს...

ყველას გასაგონად გვინდა ვთქვათ: მეგობრებო, მეზობლებო, ადამიანებო, ცოტა წყნარად იყავით! და თუ თითო მყვირალასაც დაეწყნარებთ, ჩვენი საზოგადოება კიდევ უფრო ჰარმონიული იქნება, ჩვენი ჯანმრთელობა — უფრო საიმედო, ჩვენი ეკონომია კი უფრო მოსავნებული.

სიტყვა სიმშვიდეს ეხება. ადამიანს ამშვიდებს სიჩუმე და ღლის ხმაური. ურბანიზაციის ქარიშხალან საუკუნეში ადამიანები სოფელს უბრუნდებიან, ხმაურს გაურბიან, მთებსა და აგარაკებს აფარებენ თავს. ხშირად ეს არის შეუცნობელი ლტოლვა იმ უხილავი საოცნებო საგნისაკენ, რაც სიცოცხლეს ახანგრძლივებს, შრომას აიოლებს, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ბრძოლას ნერვების მოუშლელად წარმართავს.

ვინ ხმაურობს? ადამიანი, რომელიც არ სცემს პატივს არც თავს, არც სხვას. განა სადეს ხმაურობს ღვაწლმოსილი მხცოვანი მეცნიერი, წყნარად რომ ზის და წყვეტს ურთულეს პრობლემებს, წყნარად მიაბიჯებს ქუჩაში, წყნარად ესაუბრება შეგობრებს, ღიმილით უკრავს თავს ადამიანებს? კაცობრიობა თავის სრულყოფას ასეთ ადამიანებში აღწევს. კაცობრიობამ, ვგონებ, ყველა ლეგენდაზე უფრო ბიბაცა და გულმხურვალედ მიიღო გოეთეს „ზეზვარის მწუხრის სიმღერა“, რომელშიაც ვეიმარელი ბრძენი იდეალურ სიმშვიდეს უნივერსალური ბრალოგებითა და სისრულით შეეჯო.

ადამიანებო, წყნარად!

მდუმარებენ მწვერვალები,
ტყე და ველიც დუმს,
ალმართი ვერ აგიყვია,
ველარ ითქვამ სულს.
მწვანე ტყეში მწუხრი წვება,
ჩიტიც არა სტკენს...
ცოტა ხანი მოითმინე,
მოისვენებ შენც!

კითხულობთ და ისვენებთ, გულის რიტმი ჭარის ხმას ეწყობა. უკერად მეზობლის ბინიდან ლარნაკის მსხვრევის ხმა ისმის, სკამი ეკედლს შეეღეწა, ქალი ბიჭს ლანძღავს, კაცი ქალს ეუბერება. ხვალ ასეთ დღეს მეზობელს დაატეხენ. ასეთი ადამიანები ხმაურობენ და ზაფრას თესავენ, დიდგულობენ და იქადნებიან...

მზეც კი არიდებს თვალს, კოჯრის ნიავიც კი არ გაკარებია კარს იმ ამღილი ზაფრის ბურუსში. ტლანქი, შეუგნებელი ადამიანები, ასობით საქმით მშრომელს აწუხებენ, ეკიმპეიბიან, უშფოთებენ ძილს, ღრეობენ, ბეღოვნურად ბრიუტენენ ცხოვრებას. ამბტომაც საჭიროროტენ საკითხია აღძრული ბურგასოვის სტატიაში. ითასობით ადამიანი ბაკუთარი გულის ტკივილს ბედავს ამ წერილში. მაგ შეკვეთნა „ერთიანი ფრონტი“ ხმაურთან ბრძოლისა!

ხმაური ასნეულებს ჯანმრთელს და კლავს სნეულს. ხმაური ამფოთებს, ამერეკს, ტანჯავს ადამიანს. ვინც ხმაურობს — მტერია სიცოცხლისა.

ხმაურის მაინე როლს ძველი ხალხებიც გრძნობდნენ. საკმარისია გავიხსენოთ რომაელთა მითოლოგიის ბუმბერაზი კაკუსი, ვულკანის ტლანქი შვილი, რომელიც თავისი მეცეცური ღრიალით ადამიანებს აშეკაკებდა და საკრძალს იტაცებდა. ვიდრე ჰერკულესმა ორ მოკლა ეგი. ამისათვის რომაელები ჰერკულესს თაყვანსა სცემდნენ. კაკუსი მოკვდა, კაკაფონია დარჩა.

ჩვენს დედაქალაქშიც მანქანების სიგნალი იმისათვის აკრძალეს, რომ ეს აბნევს, აშფოთებს, ზიანს აყენებს ადამიანებს. ბევრისაფიის ეს აკრძალვა ქაღალდზე დარჩა. უპატიოსნო რომ უფროდთ, ყოველი დამბაშავე შუბლს შეიერკვეს, საკუთარ მანქანას კი ისე დააყვირებს, რომ მოხუც ქალს, დაფიქრებულ ბერიკაცს ბული გადატრიალდება. ექიმები გვეუბნებიან: მშვიდად! თავაშვებული ძალოვნები კი გიჭკიენიან: „არა!“.

განა მტკიცება უნდა იმას, რომ სიწყნარე წამალია, ხმაური კი — საწამლავი?

ნორმალურია წვიმის შხაპუნი, ფოთლების შრიალი, ჩიტის ბალობა, მეწყერის გუგუნიც კი, მაგრამ ნორმალური არ არის ქუჩაში ბიჭების სტვენა, ტროლეიბუსში გამართული ხმამაღალი ბასი, ხორხოცი, დაკა, უცნობთა ყურებთან ატეხილი სიცილი... ასეთი „მუსიკა“, სამწუხაროდ, ხშირად გვესმის.

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ადამიანს შეექმნას სიჩუმის, კარმოხიის, თავგასინობის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. ზოგს, ეტყობა, არა ხერს კულტურულ ადამიანად იწოდებოდეს, უდროო დროს და უსაშველოდ შორს აყვირებს რადიომიმღებს, ტელევიზორს, ან ჩხუბობს. ხმაურობს და მერე თავი დაზარალებულის როლში გამოძაყავს — პირიქითო, თვითონ მაწყენებენ...

აბა რა ტრადიცია უნდა შეიქმნას ზოგიერთი ასეთი მოქალაქის იმედით? როდის იქნება ჩვენი ქალაქი, მაგალითად, ლენინგრადივით იდეალურად წყნარი, თავგასიანი. უხმაურო, თუ ერთი ჩუმად იქნება და ათი იხმაურებს?

ვის არ ხერს მეტხანს იცოცხლოს? ვის არ ხერს მიესალმოს „კომუნისტს“ ფურცლებზე აღძრულ საკითხს და ებრძოლოს ხმაურს?

მოდით, ეს უმბაროდ მოვაგვაროთ. ეს არც ისე ძნელია, თუ საბელმძღვანელოდ გავიხდით ფრიად კუმანურ დეკრეტს:

— ადამიანებო, იყავთო წყნარად!

აკაკი ბელოვანი.

უხილავი მტერი

ადამიანი ცხოვრობს ბგერების სამყაროში. ბგერაა მეტყველება, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა. ბგერაა მუსიკა, ადამიანებს რომ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს.

მაგრამ ბგერა ანდა ბგერებისაგან შემდგარი ხმაური განა ყოველთვის კეთილ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მ. ს. ჩესკინი თავის წიგნში „უხილავი მტერი“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა. წიგნის ავტორი მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა ამ საკითხს. იგი მეცნიერთა ლაბორატორიულ და თეორიულ გამოკვლევებზე დაყრდნობით ამტკიცებს „უხილავი მტრის“ — ხმაურის მავნე გავლენას ადამიანის ორგანიზმზე.

აღნიშნული წიგნი, რომელშიც ასე საფუძვლიანად პირველად არის გაშუქებული ხმაურის პრობლემა, საყარგელთო იქნება ყოველი პროფესიის ადამიანისათვის.

ამაზე დაიწერა მრავალი საგულისხმო სტატია, წერილი, ნარკვევი და დიდტანიანი წიგნებიც კი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკა აქტიურად ეხმაურება ამ თემას.

ახლახან „საბჭოთა საქართველომ“ საზოგადოებას მიაწოდა მ. ჩესკინის საინტერესო წიგნი, „უხილავი მტერი“, რომელშიც გაცემულია პასუხი მეტად საჭირბოროტო კითხვაზე — ბგერა, ხმაური განს ყოველთვის კეთილ გავლენას ახდენს ადამიანზე? მრავალი წლის დაუღალავი მუშაობის შედეგად მ. ჩესკინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხმაური ზიანია ადამიანისათვის და ამიტომ ყოველნაირად უნდა ვებრძოლოთ ამ უხილავ მტერს.

ქუჩაში მოძრავი ავტომანქანების, ტროლეიბუსების, მინდვრად მოხუშავე კომბაინებისა თუ ტრაქტორების ხმაური, ბაღრში მონავარდე თვითმფრინავების გუგუნი, ორთქლმავლებისა თუ თბომავლების საყვირის „ხმები თუ ტრასაზე და „ვაგონებზე“ სხვადასხვა საყვირი — ჩვეულებრივი, სირენის ხმით, არღნის მაგვარი ბგერებით და სხვ. ამ მხრივ ყველას აბარებენ ის პირები, რომლებსაც საკუთარი „ყოლგები“ შეუძენიათ და შუაღამისას, ორცა ტკბილ ძილში ვართ, ნაბახუსარნი აბღავლებენ მანქანებს და საიდუმლო სიგნალებით თუ „ეკაჯური ენით“ ეძახიან თავიანთ „ნვსტანვებსა“ და „თინამინებს“. ამ გრძელ ტრასაზე ღამის 12 საათის შემდეგ ერთ ავტოინსპექტორს ვერ ნახავთ. პროსპექტი ბედის ანაბარად არის მიტოვებული. ჩვენ კი, რომელთაც არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის, გვეჭირდება მოსვენება, დასვენება, უხმაურო ცხოვრება... ალბათ, სათანადო დაწესებულებები დაინტერესდებიან ამ მეტად აქტუალური პრობლემით.

რ. შამელაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ქ. კუთაისი.

უხილავი მტერი

ადამიანი ცხოვრობს ბგერების სამყაროში. ბგერაა მეტყველება, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა. ბგერაა მუსიკა, ადამიანებს რომ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს.

მაგრამ ბგერა ანდა ბგერებისაგან შემდგარი ხმაური განა ყოველთვის კეთილ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მ. ს. ჩესკინი თავის წიგნში „უხილავი მტერი“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა. წიგნის ავტორი მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა ამ საკითხს. იგი მეცნიერთა ლაბორატორიულ და თეორიულ გამოკვლევებზე დაყრდნობით ამტკიცებს „უხილავი მტრის“ — ხმაურის მავნე გავლენას ადამიანის ორგანიზმზე.

აღნიშნული წიგნი, რომელშიც ასე საფუძვლიანად პირველად არის გაშუქებული ხმაურის პრობლემა, საყარგელთო იქნება ყოველი პროფესიის ადამიანისათვის.

გთავაზობთ ახალ საგზაო ნიშანს

ეს წერილი ეხება თბილისში ვაჟა-ფშაველას პროსპექტსაც. ამ პროსპექტზე ბენზინთან მომმარაგებელი სვეტისაკენ დღისით და ღამით მოეშურება ქალაქის მთელი სამარშრუტო საგარაჟო, წყალსაზიდი, ბენზინსაზიდი, ამწე და სხვა ტექნიკური დანიშნულების ავტომანქანების ქარავანი. ძრავები სიძველის გამო საშნელი ღრიანცელით მუშაობენ.

ამას ემატება ქალაქში ჩამოსული რაიონების სამარშრუტო ავტობუსები, რომლებიც, ბენზინგამოლეულები, ერთი ალიქმოთი მიეშურებიან ბენზინის სვეტისაკენ და მოსვენებას არ აძლევენ ათასობით მცხოვრებთ.

ჩვენ გვეყოფა პროსპექტზე მოძრავი ჩვენივე სამარშრუტო ტრანსპორტის ხმაურიც. სახელმწიფო ავტომობილეთა ექსპედიცია ვალდებულია „ჯანმრთელობა“ ხმაური. ეს საქმე მოსაგვარებელია. შეხსენების მიზნით ქალაქის ავტოინსპექციას ვთავაზობ ადამიანთა ყურთასმენის პატივისცემისადმი მიძღვნილ საგზაო ნიშანს.

გივი ლომიძე,
მხატვარი

ერთ-ერთ ადამიანს

დიდი ილია წერდა: „არის ქვეყნად ბევრი იმისთანა საგანი, რომლის გაძიც ძაც ითქმის და არაცა, რადგანაც საგანი ან გამოთქვიერი არ არის ჯერ მთლად, ან მეტად რთულია და დახლართული... ხოლო ქვეყნიერებაზედ ბევრი იმისთანა საგნებიც არის, რომელთა ვითარებაც, ცხადია, როგორც ორჯერ ორი ოთხია. აქ საუბრის გაბმა და ერთმანეთთან ლაპარაკი, საგნის წაღმა-უკუღმა თრევა და წეწვა მეტი ბარგია. ამისთანებზე ლაპარაკი სულგრძელობაა იმის მსრით, ვინც იძულებულია ეჩინინოს მეორეს, რომ ორჯერ ორი ოთხია, და იმის მხრით, ვინც ამ ჩიჩინისთვის ვისმე იძულებულ ქყოფს, მეტისმეტი სიბრიყვეა და გონების დაბნეულობა“.

ეს, სწორედ ამისთანა ამბებზე მოგვიხდება ქვემოთ ლაპარაკი. არც ჩვენ ვგეალისებთ ეს. მაგრამ, ისევ ილიასი არ იყოს, „რას იზამ“, წინსელა და ცხოვრება გვიკარნახებს...

ყველას გასაგონად გვინდა ვთქვათ: მეგობრებო, მეზობლებო, ადამიანებო, ცოტა წყნარად იყავით! და თუ თითო მყვირალასაც დაეწყნარებთ, ჩვენი საზოგადოება კიდევ უფრო ჰარმონიული იქნება, ჩვენი ჯანმრთელობა — უფრო საიმედო, ჩვენი ეკონომია კი უფრო მოსავნებული.

სიტყვა სიმშვიდეს ეხება. ადამიანს ამშვიდებს სიჩუმე და ღლის ხმაური. ურბანიზაციის ქარიშხალან საუკუნეში ადამიანები სოფელს უბრუნდებიან, ხმაურს გაურბიან, მთებსა და აგარაკებს აფარებენ თავს. ხშირად ეს არის შეუცნობელი ლტოლვა იმ უხილავი საოცნებო საგნისაკენ, რაც სიცოცხლეს ახანგრძლივებს, შრომას აიოლებს, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ბრძოლას ნერვების მოუშლელად წარმართავს.

ვინ ხმაურობს? ადამიანი, რომელიც არ სცემს პატივს არც თავს, არც სხვას. განა სადეს ხმაურობს ღვაწლმოსილი მხცოვანი მეცნიერი, წყნარად რომ ზის და წყვეტს ურთულეს პრობლემებს, წყნარად მიაბიჯებს ქუჩაში, წყნარად ესაუბრება შეგობრებს, ღიმილით უკრავს თავს ადამიანებს? კაცობრიობა თავის სრულყოფას ასეთ ადამიანებში აღწევს. კაცობრიობამ, ვგონებ, ყველა ლეგენდაზე უფრო ბიბაცა და გულმხურვალედ მიიღო გოეთეს „ზეზვარის მწუხრის სიმღერა“, რომელშიაც ვეიმარელი ბრძენი იდეალურ სიმშვიდეს უნივერსალური ბრალოგებითა და სისრულით შეეჯო.

ეჭვნიერები ამბობენ

● ოდესმე კაცობრიობა იძულებული გახდება ისეთივე გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს ხმაურ

დღეს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში



ქარელი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

რ. ბასილაშვილი

10 ათასი ვარდი

ინტენსიურად მიმდინარეობს დაბა ქარელის გალამაზება და კეთილმოწყობა. ფართოვდება ტროტუარები, მოიკირწყლა ქუჩები. კერძო სახლებისა და საზოგადოებრივი დანესებულებების ეზოებს გაუკეთდება ლამაზი მესერები, დაბის ტერიტორიაზე — გაზონებში, სკვერებში და პარკებში დაირგვება 10 ათასი ძირი ვარდი.

პრობლემა გადაწყდა

დაბა ქარელის მოსახლეობა წყლის რესურსების დიდ ნაკლებობას განიცდიდა, მაგრამ მიმდინარე წელს ეს პრობლემა გადაწყდა. დაბის 7 ათასამდე მცხოვრებმა უკვე მიიღო დაბალებით, წამში 20 ლიტრი სასმელი წყალი. აღსანიშნავია, რომ წყლის არსებული დებიტი ნაცვლად 2 ათასი წლამდე. ამ დროის მანძილზე სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება როგორც მოსახლეობა, ისე არსებული და ახლად აშენებული ფაბრიკა-ქარხნები.

ასფალტის ქარხანა

ამ ამამად მოქმედი ასფალტის ქარხანა სანსიეროდაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომაც ქარელის რაიონის მოსახლეობა ხშირად გამოთქვამს საყვედურს არსებული გზების შესახებ. დღის წესრიგში დადგა საკითხი ახალი ქარხნის აშენების შესახებ...

ქარელელებმა სიტყვა საქმედ აქციეს და ახლა მიმდინარეობს ასფალტის ახალი ქარხნის უკანასკნელი სამუშაოები. ქარხანა ოფიციალურად 189-ე ასფალტის გამოუშვებს. რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მოკლე დროის მანძილზე ასფალტით დაიფარება რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი სასოფლო გზები და ქუჩები.

ქარელის ავტოსარემონტო

წელს ქარელში საექსპლოატაციოდ გადაეცა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ავტოსარემონტო ქარხანა. აქ ძირითადად რემონტს უკეთებენ სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებსა და ავტომობილებს. ქარელელი ავტოშემკეთებლები ყოველთვიურად ცდილობენ, რომ მაღალხარისხოვანი იყოს მათ მიერ შეკეთებული მანქანა-იარაღები და ავტომობილები. ქარხანას შეუძლია წელიწადში „გაზ-51“ ტიპის 3 ათას ავტომანქანას გაუკეთოს რემონტი.

1972 წელს ქარხანაში აამუშავებენ ახალ ხაზს, რაც შესაძლებელს გახდის დამატებით შეკეთდეს ვაგონიდან სასუქის გადმოსატვირთი ტრანსპორტიორები, ავტომანქანების სიჩქარის კოლოფები, ავრეთვე წინა და უკანა ხიდები.

სკოლები, ტექნიკუმები, კლუბები

დაბა ქარელში აშენდა ელექტრომექანიკური ტექნიკუმისა და პროფტექნიკური სასწავლებლის კომპლექსი. ტექნიკუმის მსმენელები და პედპერსონალი უზრუნველყოფილია საერთო საცხოვრებლებით, სასადილოთი, კლუბით, სამკითხველოთი და კაბინეტ-ლაბორატორიებით.

ახალი სკოლები აშენდა და მიმდინარეობს მეცადინეობა აბისში, ქარელში, ბრეთში, ფცაში. რუისში და სხვაგან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე ქარელის რაიონის მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. დღეისათვის რაიონში მოქმედებს 60-მდე კულტსაგანმანათლებელო დაწესებულება. ბრეთის და ბებნისის საბჭოთა მეურნეობებში დასასრულს უახლოვდება კულტურის სახლების მშენებლობა, ხოლო აბისში შენდება სასოფლო კლუბი.

სურათზე: ქარელის რაიონული საავადმყოფო.

ფოტო შ. კუკულაკასი.

ნორჩ მათემატიკოსთა საკავშირო სიმპოზიუმზე

მეცნიერება და მომავალი

ეს რამდენიმე დღეა, რაც სასტუმრო „ივერიის“ ვესტიბიულებსა და ოთახებში სამყარდენინშნიანი პატარა სტუმრები გამოჩნდნენ. საბჭოთა კავშირის რომელი ქალაქიდან ჩამოსულ ბავშვს არ ნახავდით აქ, ოითქოსდა ასაკისათვის მიუფერებელი სერიოზულობით რომ საუბრობდნენ მეცნიერების სხვადასხვა რთულ საკითხებზე.

თბილისის 42-ე მათემატიკურმა საშუალო სკოლამ კარგ ტრადიციას დაუდო სათავე. დეკემბერი „კომუნიზმი უნდა აშენოს ახალგაზრდობამ“ მოაწყო ნორჩ მათემატიკოსთა პირველი საკავშირო სიმპოზიუმი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

პირველი პლენარული სხდომა გახსნა სკოლის დირექტორმა ო. დაღანიძემ, სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმნენ საპატიო სტუმრები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ხარაძე, ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. მირცხულავა. სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ლორთქიფანიძე, პროფესორები დ. კვესელავა და ვ. კობახიძე.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ტალინის, რიგის, მინსკის, კიევის, კიშინიოვის, ერევნის, ბაქოს, ტაშკენტის და სხვა ქალაქების ნორჩი მათემატიკოსები, სულ 120 მოსწავლე. სიმპოზიუმის მუშაობა ხუთ სექციაში მიმდინარეობდა — მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ლიტერატურისა და ისტორიისა, სადაც მოსმენილ და განხილულ იქნა 70-მდე მოხსენება.

შემთხვევითი როდია ის ამბავი, რომ ამ შეკანიშნავი ღონისძიების წამოწყება სწორედ 42-ე მათემატიკურმა საშუალო სკოლამ ითავა. არსებობის 10 წლის მანძილზე სკოლამ სამაგალითო შედეგებს მიაღწია, მარტო უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 437 კურსდამთავრებულიდან ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 433.

სკოლაში ასწავლიან კვალიფიციური პედაგოგები: რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები — პერსონალური პენსიონერი ქ. ტუსკია და გ. ლორთქიფანიძე, მასწავლებლები: ა. გამაზოვი, კ. კოტლავაშვილი, ლ. მათიბიშვილი, გ. სტეპანოვი. აქვე მოსწავლეთა აღზრდას ემსახურებიან: პროფესორი დ. კვესელავა, მეცნიერი მუშაკები ვ. ბერიკაშვილი, ო. ლალიაშვილი და სხვები.

ამ სკოლის მოსწავლეები სისტემატურად იმარჯვებენ რეპუბლიკურ და საკავშირო ოლიმპიადებზე.

ნორჩ მათემატიკოსთა საკავშირო სიმპოზიუმმა მუშაობა დაამთავრა. მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები, მათ შორის ბევრმა გამოიჩინა თავი მეცნიერების ღრმა ცოდნით, იმსჯელეს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ლიტერატურისა და ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე.

თვალნათლივ გამოჩნდა ის, რომ მომავალი თაობა მთელი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეუფლება მეცნიერების ურთულეს დარგებს. მოავალი მაინც სხვაა. ასეთი ღონისძიებები აახლოებს და ამეგობრებს მათ. მეგობრობა კი საწინდარია წინსვლისა და ყოველგვარი გამარჯვებისა.

ბ. დურგლიშვილი.

ერთვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ვუბრუნდებით დაგეჭდილს

ანთია სამანიშვილების კერა

„ვინ იყო ამბაკო სამანიშვილი?“ — ასეთი სათაურით „კომუნისტში“ (იხ. № 2, 1971 წ.) დაიბეჭდა ჩვენი წერილი, რომელიც მოსწავლე ნარგიზა სამანიშვილის შეკითხვის პასუხი იყო. ჩვენი მოლოდინი გამართლდა — მკითხველები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ მასალას. რედაქციას ამბაკო სამანიშვილის რევოლუციური მუშაობის შესახებ წერილები გამოუგზავნეს პ. ალავიძემ, გ. გაბისონმა, გ. კუპატაძემ (ქუთაისი), მ. სამანიშვილმა, თ. სამანიშვილმა (ზესტაფონი), დ. ახალაცმა (ქარელი), მ. დადიანმა (საჩხერე), შ. სულამანიძემ (ტყიბული), მ. უკლებამ, ნ. სამანიშვილმა, ა. ძინძიბაძემ (თბილისი) და მ. მშვიდობაძემ (ბათუმი).

მკითხველები იწერებიან თავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლის ამბაკო სამანიშვილის რევოლუციური მუშაობის ეპიზოდებს, გვიყალებენ ეურნალებსა და წიგნს, სადაც მოთხრობილია ამბაკოს თავდადების ამბავი, გვაცნობენ მის ახლობლებს, რომლებმაც არ ჩაავიწყეს სამანიშვილების კერა.

ავტორთა წერილებში გამოთქმული აზრების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ უფროსი ლიტერატურული მუშაკის მ. მშვიდობაძის წერილი, რომლადანაც მოვიყვანთ ადგილებს.

„კომუნისტში“ ამბაკო სამანიშვილის შესახებ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, — წერს მ. მშვიდობაძე, — „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში მოვიდა გივი ცირკოიძე, რომელმაც გადმომცა ამბაკო სამანიშვილის ფოტოსურათი და განაცხადა, რომ ბათუმის საკვანძო დეპოში მუშაობს ამბაკოს ძმისშვილი ივიდიონ სამანიშვილი; იგი საამყოფო საამქროში ორმოცი წელია მუშაობს ზეინკლად. მან ბევრი რამ იცის სახელოვანი ბიძის შესახებ. ამბაკო და მისი მომდევნო ძმა კოსტა ბათუმში ჩამოდიოდნენ უმცროს ძმა ნიკოსთან, იღებდნენ არალეგალურ ლიტერატურას, იძენდნენ იარაღს დასაგვეთ საქართველოს რევოლუციური ორგანიზაციებისათვის... ამბაკო სამანიშვილი უთან ა ხ ე ნ ო რ ი ბრძოლაში დაიღუპა 21 წლისა. მას შთამომავლობა არ დარჩენია.

ზესტაფონის რაიონში, — ვკითხულობთ შემდეგ წერილში, — არის ლამაზი სოფელი ქვედა სახანო. იგი განთქმულია ვაზით და გამრჯე ადამიანებით. აქაური კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ, იმკიან თავისუფალი ცხოვრების ნაყოფს. მაგრამ ასეთი რიგი იყო ეს სოფელი რევოლუციამდე. უღარიბესი გლეხის შვილმა ამბაკო სამანიშვილმა შეიძულა უსამართლო წყობილება და რევოლუციონერ თომა ჩუბინიძესთან ერთად უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე.

მისი მამა ორდანე სულ ქვედა საზანოში ცხოვრობდა და 120 წლისა გარდაიცვალა. მისმა უმცროსმა შვილმა ნიკომ, მრავალი წელი რომ იმუშავა როტშილდის ქარხანაში, ბათუმი მიატოვა და ქვედა საზანოში თავის ძველ კერაზე დაბრუნდა. დღესაც ანთია სამანიშვილების კერა. აქ ცხოვრობს ნიკოს უფროსი შვილი გაბრიელ სამანიშვილი, რომელიც ახლა პენსიონერია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომლიურ კოლმეურნეობას მიაშურა. გაბრიელის ვაჟმა ჯაბამ და ახლა ერთერთ მოწინავე ბრიგადას უდგას სათავეში. ჯაბას და-ძმები ზრომის ფერხულში ჩაებნენ: ბიბეკო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ბრიგადირია. ნანული და გულიკო ქუთაისის ბრეშუმის კომბინატის მეწყვილეები არიან, ნორა თბილისში ცხოვრობს, ეთერი — ზესტაფონში. (მ. მშვიდობაძის წერილი მთლიანად დაიბეჭდა „საბჭოთა აჭარაში“)...

რევოლუციურმა საქმემ, რომელსაც თავი შესწირა ამბაკო სამანიშვილმა, გაამარჯვა; თანასოფლელები, მუშობლები, ახლო ნათესავები სიყვარულით ახსენებენ რევოლუციის თავდადებული რაინდის ამბაკო სამანიშვილის სახელს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავის დროზე მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა ბაჭუა კუპარაშვილის წიგნი „ამბაკო სამანიშვილი“, რომელიც 1926 წელს გამოიცა და ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა; ამბაკო სამანიშვილის რევოლუციურ მოღვაწეობაზე წერდა აგრეთვე ძველი რევოლუციონერი ბარონ ბიბინეშვილი თავის ვრცელ ნარკვევში „ალმა“, რომელიც 1926 წელს დაიბეჭდა ეურნალ „მნათობში“ (№ 4, გვ. 216).

ს. ეურაშვილი.

• • •

სურათზე: ძველი რევოლუციონერები (მარცხნიდან): ა. სამანიშვილი, თ. ჩუბინიძე, ვ. მთვარელიძე.

პროფკავშირთა თვითმოქმედი ხელოვნების ფესტივალი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად და თვითმოქმედების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლებისათვის რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის აქტივიზაციის მიზნით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მოაწყოს მუშათა კოლექტივების თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური ფესტივალი.

პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო, დაგეგლობრივ და მუშათა კომიტეტებს წინადადება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ფესტივალის ორგანიზაციისა და მოწყობაში, 1 დეკემბრამდე შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები და შეიმუშაონ გეგმები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლი მოწოდებელია ორგანიზაციულ-მეთოდური და შემოქმედებითი დახმარება გაუწიოს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს.

რესპუბლიკური ფესტივალი ეწყობა სამ ტურად — თეატრალურ, მუსიკალურ, ეოკალურ-საგუნდო, საცეკვაო, საკირკო, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ფოტო და კინომოყვარულთა დარგებში.

პირველი ტური მოეწყობა საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში, წითელ კუთხეებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში; მეორე — რაიონებში, საქალაქო და საოლქო ცენტრებში; მესამე ტური — რესპუბლიკური ფესტივალი გაიმართება 1972 წელს თბილისში.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ფესტივალის მოწყობის დებულება და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირების, თეატრალური საზოგადოების, კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლების, საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენლები. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეები — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვასაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი განყოფილების გამგე გ. ობაშვილი და პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური საბჭოს დირექტორი რ. ღვინერია. (საქდესი).

ქართველი და ჩეხოსლოვაკიელი ბავშვების მეგობრობისათვის

საჩუქარი ჩეხოსლოვაკიიდან

თბილისის იან ამოს კომენსკის სახელობის 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ პრაღისა და კარლოვი ვარის ბევრ სკოლასთან. თბილისში ჩამოსული ჩეხოსლოვაკიელი პედაგოგები და მეცნიერები ხშირი სტუმრები არიან ამ სკოლისა და, პირველად, ქართველები მიემგზავრებიან ხოლმე ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებთან. ამ მეგობრულ ურთიერთობას ეხება ლ. გვაზავა-სანაძის ნარკვევი „იან ამოს კომენსკის ქართული სკოლა“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის „ყოველკვიურულ „უჩიტელსკე ნოვინის“ კომენსკის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ სიუბილეო ნომერში დაიბეჭდა.

ამ დღეებში ლ. გვაზავა-სანაძემ სასახარულო საჩუქარი მიიღო ჩეხოსლოვაკიიდან. ეს არის დიდი პედაგოგისა და მაზროვნის იან ამოს კომენსკის საიუბილეო მედალი და წერილი, რომელსაც ხელს აწერს ჯ. ტ. შაფარიკის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეი ჩუმა. წერილში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის უანმტკიცებისა და დიდი პედაგოგის მოწინავე იდეების პროპაგანდისათვის იან ამოს კომენსკის სიუბილეო წელთან დაკავშირებთან, გვინდა გადმოგცეთ საშასხოვრო მედალი „კომენსკი და სლოვაკია“.

უკანასკნელი აკორდი

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 3:0 (1:0), თბილისი, 12 ნოემბერი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, მაყრ. ძ. ანდუღაფარი (კაუნასი).

„დინამო“ — სტეფანია, ბეტრიაშვილი, ბელიძე, ებრალიძე, ზინაგაშვილი, კუტუკაძე, გაგაშელი, მაზაიძე, ყიფიანი (რეკვიაშვილი), გეგეჭკორი, ლ. ნოდია.

„სპარტაკი“ — ბაუტა, ლოგოფეტი, ზენკოვი, ოლშანსკი, აბრამოვი, კისელიოვი, მირზოევი (კალინოვი), რედინი, პისკარიოვი (ოსიანინი), პაპაკვი, სილაგაძე.

მეტოქეთათვის ეს შეხვედრა ჩემპიონატის უკანასკნელი აკორდი გახლდათ. „დინამოსათვის“ იგი უფრო პრესტიჟის მატჩი იყო, სპარტაკელებს კი პერსპექტივაში მეოთხე ადგილი ესახებოდათ. პაექრობას წინ უძღოდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ს. მეტრეველის გაცილება. მან კაპიტნის სამკლავე ნიშანი ბელიძეს გადასცა, მაისური კი — გუცაევს ბოდიშიც და ყველა მატჩება უსურვა. ვეტერან ფეხბურთელს დინამოელებთან ერთად მიაცილებდა მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში.

გუშინდელი ეს შეხვედრა დინამოელებმა აიმაღლობთ წაიგრეს. გამარჯვება 3:0 თავისთავად მეტყველებს მათს სანქტიმელ განწყობილებაზე. მართალია, ამ ორ ქულას ბრინჯაოს ბრინჯაოსთვის სტურნირო მდგომარეობა არ შეუცვლია, მაგრამ მოსწავლეთ სასიამოვნო ფაქტი — თბილისელებმა თავი დააღწიეს ბურთების უარყოფით სხვაობას და წონასწორობა აღიდგინეს. 33-ე

მოკლედ თამაშზე. ... მსვლელობაზე. ... წეთელ ზოლიდ ... დეგდა მასპინძელი ... ეპირატესობა. მე-11 ... წუთზე ყიფიანის ... და ზენკოვის ... ბრძოლაში სპარტ... ქულმა ცენტრალ... რმა მეველმა ... დომა დაუშვა — ... თა მეკარისათვის ... ზენკოვებინ ნაცვლ... საკუთარ კარში ... იტანა. მეორე ნახ... ვარში ლ. ნოდი... ორჯერ ბილო ... ...